სადიციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 25

ქ.თბილისი 4 აპრილი 2016 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ. თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ლ. ჩიკვაიძის, ე. ნაჭყებიას, ს. სულხანიშვილის ვ. სამხარაძის და ი. ჩიქავას მონაწილეობით, მ/წლის 4 აპრილს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ჯავახიშვილის ოქმი, მოსენებითი ბარათი, მთავარი მსაჯის ნ. ამაშუკელის, დამხმარე მსაჯების მ. მასხარაშვილის და ი. ჭანუყვაძის განცხადებები და ოფიციალური ვიდეომასალა.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ამა წლის 27 მარტს გაიმართა „დიდი 10“-ს მატჩი, ბათუმის „ბათუმი“-სა და თბ „არმია“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის გ. ჯავახიშვილის ოქმისა და მოხსენებითი ბარათის, მთავარი მსაჯის ნ. ამაშუკელის, დამხმარე მსაჯების მ. მასხარაშვილის და ი. ჭანუყვაძის განცხადებების და ვიდეომასალის განხილვისას გამოირკვა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები:

თბ „არმია“

1. ნიკო ჭავჭავაძე (მწვრთნელი) - მსაჯის გადაწყვეტილებებზე არაკორექტული აპელირება, არაეთიკური და არასპორტული საქციელის გამოვლენა..
2. ჯაბა კიზირია (კლუბის წარმომადგენელი) - მსაჯის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.
3. გიგა ჩაჩავა (კლუბის წარმომადგენელი) - მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
4. გიორგი აფციაური (N 23) - მსაჯთან კამათი, უდიერი, აგრესიული, შეურაცხმყოფელი საქციელი.
5. ილო სურგულაძე (N 4) - მსაჯთან კამათი, უდიერი, აგრესიული, შეურაცხმყოფელი საქციელი.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.1, 1.2, 1.3, 2.4 პუნქტებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბი თბ „არმია“-ს მწვრთნელი ნ. ჭავჭავაძე დისკვალიფიცირებულ იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბი თბ „არმია“-ს წარმომადგენელი ჯ. კიზირია დისკვალიფიცირებულ იქნას 5(ხუთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 5000(ხუთი ათასი) ლარით.
3. კლუბი თბ „არმია“-ს წარმომადგენელი გ. ჩაჩავა დისკვალიფიცირებულ იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
4. კლუბი თბ „არმია“-ს მორაგბე გ.აფციაური დისკვალიფიცირებულ იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
5. კლუბი თბ „არმია“-ს მორაგბე ი.სურგულაძე დისკვალიფიცირებულ იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.

6. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კლუბის მიმართ ამოქმედებული იქნება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.
7. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 4 მაისამდე.

8. საჯარიმო თანხების მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „არმია“-ს მიმართ, ამოქმედებული იქნება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 4.3–ე მუხლი.

9. **მსაჯთა წერილობითი განცხადებებიდან დგინდება, რომ მატჩის მთავარ მსაჯს, ნ. ამაშუკელს, ინციდენტის დროს მიყენებული ექნა სხეულის დაზიანება (ჭრილობა). აღნიშნული ფაქტის განხილვა სცილდება სრკ სადისციპლინო კომისიის კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, სრკ სადისციპლინო კომისია მიმართავს სრკ-ს პრეზიდენტს, რომ ზემოთხსენებული ინციდენტი გახდეს სრკ-ს გამგეობის მსჯელობის საგანი.**

/ს. სულხანიშვილი/

/ლ. ჩიკვაიძე/

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა/

/ვ. სამხარაძე/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე /მ.თავზარაშვილი/